

საჯარო (სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის) და კერძო საკუთრების სასაფლაოებზე მიწის გამოყენებისას (დაკავებისას) გარდაცვალების აქტის წინასწარი რეგისტრაციის აუცილებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

რეგისტრირებულია

საქართველოს იუსტიციის

სამინისტროში

სარეგისტრაციო კოდი

040.110.000.11.106.005.371

საქართველოს იუსტიციის მინისტრის,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის მინისტრის,

საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო

დეპარტამენტის თავმჯდომარისა და

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო

დეპარტამენტის თავმჯდომარის ერთობლივი

ბრძანება N 488-181/ნ-134-38-ს

2002 წლის 25-18-24-18 ივნისი ქ. თბილისი

საჯარო (სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის) და კერძო საკუთრების სასაფლაოებზე მიწის გამოყენებისას (დაკავებისას) გარდაცვალების აქტის წინასწარი რეგისტრაციის აუცილებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 10 იანვრის N 31 განკარგულების საფუძველზე, საჯარო (სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის და კერძო

საკუთრების სასაფლაოებზე მიწის გამოყენებისას (დაკავებისას) გარდაცვალების აქტის წინასწარი რეგისტრაციის აუცილებლობის უზრუნველყოფის სამართლებრივი მექანიზმის განსაზღვრის მიზნით ვბრძანებთ:

1. დამტკიცდეს თანდართული წესი (სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის) და კერძო საკუთრების სასაფლაოებზე მიწის გამოყენებისას (დაკავებისას) გარდაცვალების აქტის წინასწარი რეგისტრაციის აუცილებლობის უზრუნველყოფის შესახებ.

2. ამ ბრძანების სისტემის დაწესებულებებისათვის გაცნობა და აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის (თვითმმართველობის) ორგანოებისათვის მიწოდება უზრუნველყონ:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში - მთავარმა კანცელარიამ (ც. ბაიდარაშვილი) და მოქალაქეობის, სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციის, იმიგრაციის საკითხთა და ნოტარიატის დეპარტამენტმა (ზ. მეიშვილი);

ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში - ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტმა (ლ. თოფურიძე);

გ) საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის სისტემაში - მიწის მიზნობრიობის შეცვლის სამმართველომ (გ. ჩარაული);

დ) საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში - დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველომ (ა. ვადაჭკორია).

3. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელონ:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში - მინისტრის მოადგილემ კ. კობერიძემ.

ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში - მინისტრის პირველმა მოადგილემ მ. ლუდუშაურმა;

გ) საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში - თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ - ი. არჩვაძემ.

4. ეთხოვოთ ადგილობრივი მმართველობის (თვითმმართველობის) შესაბამის ორგანოებს ხელი შეუწყონ სახელმწიფო დაწესებულებებს ამ ბრძანების მოთხოვნების შესრულებაში, აგრეთვე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღონ ამ ბრძანების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფაში.

5. ეს ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

რ. გილიგაშვილი

ა. გამყრელიძე

ზ. გეგეჭეკორი

თ. ბერიძე

გამოქვეყნებულია #66 მაცნეში

28.06.2002

ნაწილი III

დანართი - საჯარო (სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის) და კერძო საკუთრების სასაფლაოებზე მიწის გამოყენებისას (დაკავებისას) გარდაცვალების აქტის წინასწარი რეგისტრაციის აუცილებლობის უზრუნველყოფის წესი

1. საჯარო (სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის) და კერძო საკუთრების სასაფლაოებზე მიწის გამოყენებისათვის (დაკავებისათვის) შესაბამისი ნებართვის გაცემა განხორციელდება კონკრეტული გარდაცვალების აქტის რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთის (გარდაცვალების მოწმობის) წინასწარი სავალდებულო წარდგენის საფუძველზე;

2. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, დადგენილი წესის შესაბამისად, ყოველი თვის დასაწყისში, არა უგვიანეს 7 (შვიდი) რიცხვისა, უზრუნველყოფს ინფორმაციის დამუშავებას და აღრიცხვას პიროვნების გარდაცვალების აქტის რეგისტრაციის დამადასტურებელი საბუთის (ზუსტი რეკვიზიტების მითითებით) საფუძველზე საჯარო (სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის) და კერძო საკუთრების სასაფლაოებზე მიწის გამოყენების (დაკავების) თაობაზე.

რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროში

სარეგისტრაციო კოდი: 040.110.000.11.106.005.371